ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 თებერვლის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2025** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2024** წლის 17 დეკემბრის **N25** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი

თანამომხს: ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დაკით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 თებერვლის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 4
2025 წლის 10 თებერვალი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე, ინგა მაღრაძე, სულ საკრებულოს 25 წევრი.
სხდომას ესწრებოდნენ:
მერიის წარმომადგენლები:
ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისსაფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,
საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:
ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,
ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,
მარიამ შარიქაძე საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი,
ივანე ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
ინგა ბერაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,
ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,
მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,
სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი,
მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 25 წევრი.
მომხრე 25

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე . „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მან აღნიშნა, რომ საკითხი განვიხილეთ დაწვრილებით, დაისვა შეკითხვა აიპიებში 125 ლარიანი მატების საკითხთან დაკავშირებით, მივიღეთ განმარტება და მივესალმებით აღნიშნულ ღონისძიებას, წინააღმდეგობა არავის გამოუხატავს, მივიღეთ გადაწყვეტილება საკითხი გავიდეს საკრებულოს სხდომაზე.
ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“, დასვა შეკითხვები მომხსენებლის მიმართ: ეს მატება აიპიებში 10% მატებას +125 ლარი სწორად გავიგე და კიდევ პირველ სართულზე ოთახების რემონტი რას ემსახურება.
ვარლამ ჭიპაშვილმა მომხსენებელმა განუმარტა, რომ რა თქმა უნდა ეს დამატებით იქნება, რაც შეეხება ოთახების რემონტს აქ მოეწყობა კანცელარიის კაბინეტი სადაც იქნება ყველა სფეროს წარმომადგენელი, სოციალური, ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა, რომლებიც გაუწევენ მომსახურებას შემოსულ მოქალაქეს, მოქალაქეები მიიღებენ კონსულტაციას და მისცემენ სწორ მიმართულებას იმ პირთან, სადაც საკითხის გადაწყვეტა იქნება შესაძლებელი.
ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“ დააყენა წინადადება, რომ ადმინისტრაციულ შენობა არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის.
კობა გოგსაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აღნიშნა, რომ 52 000 ლარით ოთახების გარემონტებას, ხომ არ ჯობდა ეს თანხა ჩაგვედო განათლებაში, მარალითად ტრანსპორტი, რომელიც ბავშვებს ემსახურება მიყავთ და მოყავთ თუა არა უკან ბავშვები აკონტროლებს ვინმე? შემინიშნავს პატარები, ფეხით ბრუნდებიან სახლებში, ვინაიდან ავტობუსი 3 საათამდე არ მოდის, პატარებს უწევდეთ ლოდინი 2 საათი სკოლაში დამატებით ერთი რეისი, რომ გააკეთონ მათთვის.
ვარლამ ჭიპაშვილმა მომხსენებელმა განმარტა, რომ ტრანსპორტის მოძრაობას აკონტროლებენ სკოლის დირექტორები, გეთანხმებით გასამკაცრებელია კონტროლი.
კენჭის ყრის დაწყებამდე სხდომა დატოვა 2 წევრმა.
სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად დააყენა კენჭის ყრაზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტი:
კენჭი ყარაზე დადგა საკითხი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, ტრანსფერი გაიზარდოს 1 106 760 ლარით;

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი

კენჭი ყარაზე დადგა საკითხი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დელეგირებული უფლებამოსილების

განსახორციელებლად ხარჯი გაიზარდოს 12 600 ლარით;

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი

კენჭი ყარაზე დადგა საკითხი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 120 000 ლარი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი

კენჭი ყარაზე დადგა საკითხი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 890 000 ლარი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი

კენჭი ყარაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილი მომართვებისა და მერიის გადაწყვეტილების შესაბამისად შრომის ანაზღაურების 125 ლარიანი მატების გამო დამატებით გამოიყოს 965 675 ლარი, რომლის შესავსებად გამოყენებული იქნას 2025 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი;

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი

კენჭი ყარაზე დადგა საკითხი მერიის შენობის პირველ სართულზე კანცელარიის კაბინეტის მოსაწყობად ხარჯი განისაზღვროს 52 177 ლარით;

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი

კენჭი ყარაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 29 015 732 ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი

ენჭი ყარაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები გაიზარდოს 28 275 720 ლარით და განისაზღვრება 32 422 932 ლარით.
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**